ილჰამ ალიევი დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოზე სიტყვით გამოვიდა
პარასკევი, 25 ოქტომბერი 2013 20:37

აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს სხდომაზე მონაწილეობს. 25 ოქტომბერს ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა. სხდომაზე აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევიც მონაწილეობს. ალესანდრ ლუკაშენკომ სხდომაზე მონაწილე პრეზიდენტები "დამოუკიდებლობის პალასში" მიიღო.
ალიევმა განაცხადა, რომ ამის შემდეგაც გააგრძელებს მუშაობას იმისთვის, რომ ბელორუსსა და აზერბაიჯანს შორის თანამშრომლობა და მეგობრობა, მშვიდობა უფრო გაძლიერდეს. მან აღნიშნა, რომ დსთ-ს ქვეყნებს ერთმანეთს ისტორიული ფესვები აკავშირებთ, ერებმა სამამულო ომის დროს ფაშიზმი ერთად დაამარცხეს. ახლაც ორ ქვეყანას შორის ეფექტური პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობებია.

1 / 1